საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №01-11/412

ქ. ბათუმი 6 ოქტომბერი 2021 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან მოსაკრებლის გადახდის გარეშე გამოსათხოვი საჯარო ინფორმაციის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 38-ე მუხლის, ,,საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ლ'' ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2021 წელს, სამინისტროდან მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაიცეს თითოეული განმცხადებლის მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, თუ მათი ასლების საერთო რაოდენობა არ აღემატება 5 გვერდს.

2. 2021 წელს მოსაკრებლის გადახდის გარეშე გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლების საერთო რაოდენობა, წლის განმავლობაში, არ უნდა აღემატებოდეს 80 გვერდს.

3. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის: ქალაქი ბათუმი, კ. 'გამსახურდიას ქ.№9), ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მაია ხაჯიშვილი
მ ი ნ ი ს ტ რ ი